

ანსამბლი „იაღონი“ 45 წლისაა

1968 წლის 1 სექტემბერს, აწ განსვენებული გიორგი სალუქვაძის ინიციატივით, ქ. ოზურგეთში გაიხსნა გურული ხალხური სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ოთხწლიანი სკოლა. ეს იყო პირველი და უნიკალური მოვლენა საქართველოში. ამ სკოლის სულისჩამდგმელი, დირექტორი და საინფორმაციო სიმღერების პედაგოგი თვით გიორგი სალუქვაძე გახლდათ. საგლობლებისა და ხალხური სიმღერების პედაგოგებად მოიწვიეს ცნობილი მომღერლები ვლადიმერ ერქომაიშვილი, დომენტი ქარჩავა, ზოლო სანოტო სისტემას ასწავლიდა კომპოზიტორი შალვა ლორთქიფანიძე, სადირიჟორო ხელოვნებას, - ვასილ ქუთათელაძე. სკოლაში ჩაირიცხა 42 ახალგაზრდა, - 12 ქალი და 30 მამაკაცი. 1972 წლის 15 ივლისს დაითავრდა სწავლება, მოსწავლეთა უმრავლესობას მიენიჭა

ხალხური სიმღერების ლობჯინის წოდება, მიეცათ დიპლომი და მათი უმრავლესობა მიაგლინეს სკოლებისა თუ საკოლმეურნეო ანსამბლების ხელმძღვანელებად. ასევე, დამავრებისთანავე, წარჩინებულ მსმენელთა ბაზაზე 1972 წლის 16 ივლისს შეიქმნა ფოლკლორული ანსამბლი „იაღონი“ (ხელმძღვანელი გ. სალუქვაძე, მუსიკოსები ოლეგ მამალაძე და აკაკი კახიანი.) ანსამბლში გაერთიანებული იყო 17 ახალგაზრდა: 4 ქალი და 13 მამაკაცი: რუსუდან არშიძე, გუგული ჭვლიძე, ლიანა შავიშვილი და ნანა ტულუში. მეორე ხმები: დიმიტრი ზომერიკი, ბიძინა მყავია, მიხეილ ჭაბუა, გიორგი ნიკოლაიშვილი, ნოდარი როყვა, გური ლომინაძე, თენგიზ მოლარიშვილი, იაკობ ზომერიკი, მესამე



ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის
1931 წლის
5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოსვლა. № 23 (10217), 12 ივლისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

აზერბაიჯანელი მუშა ხარაჩოვან ჩამოვარდა



6 ივნისს, დილით, ქ. ოზურგეთში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობისას აზერბაიჯანელი მუშა (აზერბაიჯანის მოქალაქე) ხარაჩოვან ჩამოვარდა. დაზარალებული ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში

გადაყვანეს. — დღეს, 9 საათსა და 30 წუთზე „მედალფას“ კლინიკაში 36 წლის მამაკაცი საპოლ შირინოვი გადავიდა. იგი სიმალადანა ჩამოვარდნილი და მარჯვენა ქუსლის ძვლის მსხვერველი მოტეხილობა აქვს. ამ წუთებში პაციენტი მზადდება ოპერაციისთვის — გეითზრა ოზურგეთის „მედალფას“ საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა დავით მდინარაძემ.

ამჟამად აზერბაიჯანელი მუშის მდგომარეობა სტაბილურია. საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთით ფოლკლორის ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს კონტრაქტორი „კომფორტი 21-ე“ ასრულებს. როგორც ამობუნ, მუშის ჩამოვარდნა მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების უკუღმევად გამოიწვია.

ავტომობილები განვადებით



იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ჩამოყვანას ავტო, ვეროპის და იაკონური (მარცხენა საჭმ) სადილმრო კომპანიებიდან და აუტომობილებიდან. ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა. (რ)

სორციელდება თუ არა ინერტული მასალებისა და ფიალისეულის მოპოვებაზე სახელმწიფო კონტროლი

თუ მოარულ ჭორებს უნდა დაუშვროთ, რომ ამ სფეროში ყველაფერს გაკლენიანი პირები აკონტროლებენ?

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ივნისის სხდომაზე სულ სამი საკითხი განიხილეს და აქედან მესამე — ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე ნატანების მიმდებარე ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ვგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, — იმდენად რეზონანსული გამოდგა, რომ წინა ორი ძალაუფლებად ჩრდილში მოექცა.



რასაკვირველია ვიცოდით, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარიერების მთელი კასკადია, რომელიც დიად რომ ვთქვათ, მდინარე ნატანების მიმდებარე სოფლებსა და მოსახლეობას ყოფნა-არყოფნის რეჟიმში, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებს და ამ პრობლემის შესახებ კომპეტენტური პირების დასკვნებიც არაერთხელ გამოვქვეყნებია, მაგრამ ინერტულ მასალას თუ ქალაქის ტერიტორიაზეც მოიპოვებდნენ, ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებდით, არადა, დეპუტატ ლევან მგელაძის მიერ საკრებულოს სხდომაზე გასაჯაროებული დოკუ-

მენტები ცხადყოფს, რომ კარიერების გადაქიდე, შესაძლებელია ქალაქსაც არანაკლები საფრთხეები შეექმნას.

საკითხით დაინტერესებული ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე არ ფლობს არანაირ ინფორმაციას ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი კარიერის შესახებ.

„არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი კარიერის შესახებ, მაგრამ თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება და კანონდარღვევით მსგავსი რამ ხდება, აუცილებლად უნდა გატარდეს ადეკვატური ღონისძიებები და დასას-

ჯელი დაისაჯოს კიდეც. დროებით სამუშაო ვგუფს შექმნით თუ შესაბამისი კომისია შეიწავლის ამ საკითხს, ეს თქვენი გადასაწყვეტია. დღეს თბილისში მივდივარ, რამდენიმე დღეში დაბრუნდები და აქვე ვაგალებ მერიის შესაბამის სამსახურს ამ დროში, ამ საკითხზე მოამზადოს სრულყოფილი დოკუმენტური ინფორმაცია.“

როგორც ქალაქის მერიის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა მერაბ წიფივაძემ განმარტა, მდინარე ნატანების ის ადგილი, რომელზეც საუბრობს ლევან მგელაძე, ნაწილობრივ შედის ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრებში:

„მდინარე ნატანების ის ადგილი, რომელზეც საუბრობს ლევან მგელაძე, ნაწილობრივ შედის ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ამ ადგილას ქალაქს სოფელი მელექელური ესაზღვრება და თუ მდინარის ორივე ნაპირზე მიმდინარეობს ინერტული მასალის ამოღება, გამოდის, რომ ქალაქის ტერიტორიიდანაც გააქვთ ქვიშა.“



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით - 12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების ტარიფები

რედაქციის მისამართი: **ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი: **თემურ მარმანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა **გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ 7 ივნისის სხდომაზე მორიგი ცვლილებები შეიტანა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები



სხდომაზე მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

დებუტატებმა მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნაწარმების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესებას.

ამვე მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც ვრცელდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. საკრებულოს დადგენილების მისაღებად

- წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდება.
- შემცირდა:
 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურება დანამატის ნაწილში - 2 650 ლარით;
 - ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები - 160 000 ლარით;
 - დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 1 000 ლარით;
 - მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 5 000 ლარით;
 - თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 2 000 ლარით;
 - უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 1 000 ლარით;
 - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრ-

- ებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები - 6 000 ლარით;
- სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი - 15 000 ლარით.
- შესაბამისად გაიზარდა:
 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, თანამდებობრივი სარგო - 2650 ლარით;
 - თვითმმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“, სუბსიდია - 823 716 ლარით;
 - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები - 160 000 ლარით;
 - **ც** ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 10 000 ლარით;
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება, სუბსიდია - 20 000 ლარით.

კონკრეტული საჯარო სკოლის იური სიორიძის სახელი მიენიჭება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონკრეტის საჯარო სკოლის ახვე სკოლის კურსდამთავრებულის, სხვადასხვა წლებში ძალიან სტრუქტურების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მოჭიდავის, ბატონი იური სიორიძის სახელი მიენიჭება.

კონკრეტის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილ ამ ინიციატივას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ივნისის სხდომაზე დებუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გასტროლოგები გაესტროს ხსოვნას მძღვანელებს

გიზო ჟორდანიას სპექტაკლი „ბოშები“, ამ სახელოვანი რეჟისორის უკანასკნელი ნამუშევარი აღმოჩნდა. სპექტაკლის პრემიერა ოზურგეთის თეატრის ნოდარ ლუმაბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე შედგა, რითაც გაიხსნა კიდევ ფესტივალი.

თეატრის საერთაშორისო ფესტივალის შემდეგ, თეატრი კვლავ საქართველოს რეგიონებს ეწვევა. თეატრის საგასტროლო ტურნე გრძელდება სპექტაკლით „ბოშები“, რომელიც გიზო ჟორდანიას ხსოვნას ეძღვნება.

თეატრის სამსახური ხელმძღვანელის, ვასო ჩიგოვიძის თქმით ოზურგეთის თეატრი „ბოშებს“ მიუღწევს საქართველოს უწევრებს და ეს თეატრის მხრიდან მდღეობის გამოხატვა არის რეჟისორ გიზო ჟორდანიას ხსოვნისადმი:

- „თბილისშიც, საერთაშორისო ფესტივალზეც, საქართველოს ყველა კუთხეში ვითამაშებთ ლუმაბაძის „ბოშების“ ჟორდანიასეულ ინტერპრეტაციას. გიზო ჟორდანიას იყო მშვენიერ ჩვენი ფესტივალის, რომელიც შარშან პირველად გაიმართა. ოზურგეთის თეატრში ორი თვის განმავლობაში ტარდებოდა ბატონი გიზოს რეპეტიციები, იგივე მასტერ კლასები, რომელსაც მსწობებთან ერთად დღევანე-

შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალი, ვისაც საშუალება ჰქონდა, ყველა სიამოვნებით ადევნებდა თვალს. თეატრი მდღეობდა მისი თანადგომისა და მგობობის. მესტროს დიდკაობას, დიდ პროფესიონალიზმს და მისი ნათელი სულის ხსოვნას ვუძღვნი მის ბოლო პრემიერას.“

„ბოშების“ ჩვენება პირველად ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში 6 ივნისს შედგა. ჩოხატაურლები გულბობილად შეხვდნენ ნოდარ ლუმაბაძის

გმირს და ოჯახივც არ დაუკლიათ ოზურგეთელი მსახიობებისთვის.

გორში, კომედიის საერთაშორისო ფესტივალში ოზურგეთის თეატრი „ბოშებს“ 11 ივნისს, 18 საათზე გორის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგინა, 14 ივნისს, 20 საათზე ბათუმის ხელოვნების სასახლეში. ივლისსა და ოქტომბერში ფთისა და თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალები იქნებიან „ბოშების“ მასპინძლები...



ქალაქ ოზურგეთის საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია დაიწყო

- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის საბავშვო ბაღებში (№1, №2, №3, №4, №6, №7, №8, №9) რეგისტრაცია რამდენიმე დღის წინ დაიწყო და იგი 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.
- რეგისტრაცია იწარმოებს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე რეგისტრაციის გვჯავა შეეძლება აღსაზრდელს, რომლის და ან მის უკვე ირიცხება აღნიშნულ ბაღში, ან ა(ა)იპ ცენტრის ფილიალში მუშაობს მშობელი, ან ცხოვრობს საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- მეორე რეგისტრაცია ვაკანტურ ადგილებზე დაიწყება აგვისტოს თვეში.
- რეგისტრაციისთვის წარმოსადგინო ღოკუ მენტების ნუსხა:
- ფერადი ფოტო (ორი ცალი 3X4);
 - აღსაზრდელის დაბადების მოწმობის ასლი;
 - მშობლის ან კანონიერი წარმომადგენელი პირადობის მოწმობის ასლი;
 - მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
 - ჯანმრთელობის ცნობა.

სორციელდება თუ არა ინერტული მასალისა და წიაღისეულის მოპოვებაზე სახელმწიფო კონტროლი

თუ მოარულ ჭორებს უნდა დაუჯეროთ, რომ ამ სფეროში ყველაფერს გააქვნიანი პირები აკონტროლებენ?



ფრაქცია „ოპორტივის მომავლისათვის“ წევრის, დეპუტატ ლევან მგელაძის ინფორმაციით, ქალაქის ტერიტორიაზე ნამდვილად ხდება ინერტული მასალის მოპოვება და რამდენად კანონიერად ხდება ეს, ფრაქციამ ამ მიზნით ითხოვა საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

„მე შემოძლია წარმოვადგინო მასალა, რომლის გაცნობის შემდეგ არანაირ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ჩვენი ქალაქის ტერიტორიაზე ხდება ინერტული მასალის მოპოვება, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად კანონიერად ხდება ეს. ამიტომ გამოვიტანეთ ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე და ამიტომ ვითხოვეთ საკრებულოში შესაბამისი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა“.

საკრებულომ კი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას არჩია საკითხი შეისწავლოს საკრებულოს ქონებისა და ბუნებრივი რესურსების კომისიამ, რომელშიც ფრაქცია „ოპორტივის მომავლის“ დეპუტატებიც ჩაერთვებიან.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ლევან მგელაძეს გასულ პარასკევს შეეხვლით.

დეპუტატი ამბობს, რომ ფრაქცია საკითხით მოქალაქეებიდან შემოსული ინფორმაციის შემდეგ დაინტერესდა:

„მოქალაქეებიდან შემოვიდა ინფორმაცია, რომ თავიანთ საყანე ფართობებში თავდაპირველად შეიყვანეს ტრაქტორი, დაიწყეს გრუნტის სინჯების აღება და მონიშვნები, შემდეგ კი გაამონჩა მძიმე ტექნიკა და დაიწვეს

ინერტული მასალის მოპოვება. ეს ხდება მდინარე ნატანების სანაპიროზე ქალაქის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით, სადაც მას ესაზღვრება სოფელი მელექედური.

მართალია, ამ მოქალაქეებს არ გააჩნდათ მიწის ნაკვეთის ელექტრონული ვერსიები, ჰქონდათ მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც საფუძველია იმისი, რომ დაირეგისტრირონ ეს სავარგულები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მიწის ნაკვეთები არის სახელმწიფო საკუთრებაში, თან ახალდარეგისტრირებული. სახელმწიფოს უნდა მოეძია დოკუმენტაციები, ვინმეს სახელზე თუ იყო გაცემული, მაგრამ ასეთი არ მომხდარა და პირდაპირ დაარეგისტრირა. თუ ადგილზე მიხვალთ, ნახავთ, რომ მოსახლეობის მიერ შედობილი ნაკვეთებიც დარეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში. ამ მოქალაქეებმა გადაწყვიტეს, რომ დაერეგისტრირებინათ ეს მიწის ნაკვეთები, მაგრამ საჯარო რეესტრში შეხვდით წინააღმდეგობა და ვერ დაირეგისტრირეს. საჯარო რეესტრში ითხოვა ორთავიანი ვადა სიტუაციაში გასარკვევად. ამ ეტაპზე, დღესდღეობით ქვა-ლორღის მოპოვება არ მიმდინარეობს, მაგრამ ინერტული მასალის დიდი ნაწილი გატანილია. ვერ ვიტყვი, ეს კანონიერია თუ არაკანონიერი, იმიტომ, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია წიაღისეულისა და ინერტული მასალის მოპოვების შესახებ. თუმცა,

გვაქვს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს სამ იურიდიულ პირზე გაცემული აქვს ლიცენზიები ქალაქის ტერიტორიაზე ინერტული მასალის მოპოვების შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული სად არის განლაგებული ეს მიწის ნაკვეთები, მოსაპოვებელი ინერტული მასალის რაოდენობა, ვადა - რამდენი წლით არის გაცემული და მეპატრონის ვინაობა.

ვერ ვიტყვით, რომ დიდი რაოდენობა არის ამოსაღები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადა სავარაუდოდ 5 წელი მაინც იქნება, წელიწადში 200 სამუშაო დღეა და ყოველდღიურად ფაქტობრივად გააქვთ 30-50 მანქანა ინერტული მასალა. იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენი ქალაქის საზღვრები ჩადის სოფელ მერიის ხიდამდე, ფაქტობრივად მდინარის კალაპოტს მიყვება. ჩემის აზრით, იქაც ხდება უკანონო ამოღებები, მაქვს ეს ინფორმაცია. ყოველივე ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს რა ეკოლოგიურ კატასტროფასთან გვექნება საფრთხე, რა საშიშროების წინაშე დადგება ორივე მუნიციპალიტეტი.

ჩვენი ფრაქცია არ არის ქვიშის მოპოვების წინააღმდეგი, მაგრამ ვითხოვთ იმას, რომ ყველაფერი მოხდეს კანონის ფარგლებში, გვემართებოდეს, ისე, როგორც კანონდებლობითაა გათვალისწინებული. ამიტომ მოვითხოვეთ ქალაქ ოპორტივის მუნიციპალიტეტის

საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა. საკითხი მოიწონეს ქონებისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომაზე, თუმცა, საკრებულომ სხვაანაირად გადაწყვიტა. ვეთანხმებით იმაზე, რომ ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიამ, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, შეისწავლოს ეს საკითხი, რომელსაც რეგიონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს“.

P.S-ის მაგიერ; თითო შეკითხვა ხელისუფლებას, გარემოს დაცვის სამინისტროსა და ლიცენზიანტებს:

– ხორციელდება თუ არა ინერტული მასალისა და წიაღისეულის მოპოვებაზე სახელმწიფო კონტროლი, თუ მოარულ ჭორებს უნდა დაუჯეროთ, რომ ამ სფეროში ყველაფერს გააქვნიანი პირები აკონტროლებენ?

– ლიცენზიების გაცემისას გარემოს დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინოს უნდა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების აზრი და ლიცენზიის გაცემის შესახებ უნდა აცნობოს თუ არა მას, რატომ არ არის ამ საკითხებზე კომუნიკაცია სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებს შორის?

– ლიცენზიანტებო, სანამ მოპოვებით სამუშაოებს შეუდგებით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ხომ არ აჯობებს შეხვედეთ და აცნობოთ ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას?

ხილის პლანტაციების წამლობისას აუცილებელ პირობას აბროტაქსიურ ღონისძიებათა სწორად წარმოება წარმოადგენს



7 ივნისს, სოფელ შემოქმედში ოპორტივის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელმა, ნინო შეწირულმა და ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ხარაბაძემ სხვადასხვა სოფლის ტექნიკურ ჯგუფებს სპეციალური სოლო აპარატები გადასცეს.

მოწვეულმა სპეციალისტებმა ტექნიკურ ჯგუფებს სოლო აპარატების გამოყენებისა და წამლო-

ბის ეტაპების შესახებ სპეციალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს.

თხილის პლანტაციებში ფართოსანასთან ქიმიური ბრძოლის გატარება ფუტკარს არ უქმნის პირდაპირ საშიშროებას. პრეპარატი საშიშია წყლის ორგანიზმებისათვის, მისი შესწურება დაუშვებელია წყალსატევების ახლოს 200 მეტრის რადიუსში. საკარმიდამო ნაკვეთებში ბიფენტრინით შესწურებისას ჭები უნდა გადაიფაროს. ასევე, შეწამვის წინ ბენეფიციარებმა თხილის ფართობები ბალახებისგან უნდა გაწმინდონ.

ჩხს ურ-სლოვაკური ინვესტიცია უპიკეთილში

7 ივნისს, 16:00 საათზე, შეკვეთილში, სასტუმროში „ლაგუნა შეკვეთილთან“ ჩეხეთის საელჩოს თანადგომითა და მონაწილეობით კომპანია „L&R“-ის მიერ განხორციელებულ პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. შეკვეთილს ქვეყნის ჩეხი და სლოვაკი ინვესტორები. უცხოელი სტუმრები ადგილობრივ ბიზნეს გარემოს გაეცნობიან და მომავალში დაგეგმილ ინვესტიციებზე იმსჯელებენ.

სულ 3 წლის განმავლობაში ჩეხეთიდან და სლოვაკიიდან შეკვეთილში 15 მილიონ ლარის ინვესტიცია განხორციელდა. მომდევნო 2 წლის განმავლობაში კი ამავე რეგიონში 20 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განხორციელება იგეგმება. აღნიშნული კომპანიები ბიზნესის განვითარებას სამშენებლოს გარდა სხვა სფეროებშიც გეგმავენ. პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობს ახალ საინვესტიციო ჯგუფებთან.

ამასთან, ისინი კომპანია „L&R“-ის მიერ განხორციელებულ პროექტებს დააოვა-



ლიერებენ. აღნიშნული პროექტი რამდენიმე შენობისგან შედგება, რომელიც სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელ ბინებს აერთიანებს. ღონისძიებას ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები და ასევე უცხოური და ადგილობრივი მედია.

კომპანია „L&R“ 2014 წელს დაარსდა

და მას სლოვაკი და ჩეხი დამფუძნებლები ჰყავს. 2015 წლიდან დაწყებული აქტიური მოლაპარაკებების შედეგად კი 2016 წელს კომპანიამ ხელშეკრულება სამ სხვადასხვა კომპანიასთან გააფორმა და აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მოზიდვაზე სხვა და სხვა სფეროში.

30 წლიანი კაუზის უმეღებ ბათუმის ქუჩაზე ბზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო

აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტი გზის ორივე მხარეს დაიგება, რაც ჯამში ორ კილომეტრს მოიცავს, ბათუმის ქუჩაზე მოწესრიგდება სანიადრე არხებიც, რაც მოსახლეობას დატბორვის საფრთხეს საბოლოოდ ააცილებს, - აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ოპორტივის მერია ავრცელებს.

"ასევე, გზის დაფრეზვა-დაგრიდერების სამუშაოები მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩის მონაკვეთზე. მიმდინარე სამუშაოები დღეს ქალა-

ქის მერმა ბეკლარ სიორიძემ ადგილზე მონახულა და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელს სამუშაოების მაქსიმალურად მაღალ ხარისხში შესრულება მოსთხოვა.

რეგიონული განვითარების ფონდმა წელს ქალაქ ოპორტივში 1 742 820 ლარი ბათუმის, რუსთაველის, ბაქრაძის, დანჩენკოს, ქუთაისისა და ჩოხატაურის ქუჩების მოასფალტებისთვის გამოყო.

სსენებული ქუჩების რეაბილიტაციას ტენდერში გამარჯვებული შპს. "პალადა" უზრუნველყოფს.

ქალაქ ოპორტივში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გასული წლების მსგავსად, ქალაქის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ორი წლის მანძილზე, ქალაქის მერიამ ასფალტი ქალაქის 36 ქუჩაზე დააგო", - აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

სამეცობლოში

სომხეთი თვალის მართი გადავლივით

ორგანიზაციის „კავშირი ძალთა ცენტრი“ მშობლივ მრეწველთა გაართულ ტრენინგთა ოჯახთა კალაპოპის შემსახებ, შიშველი ძალბატონ სმბლანა ასლანიანს, პროფესორს, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ ლიდერს. სანმომლე ინტერვიუზე დაგვთანხმდა, თუშტა სასაუბრო გმირი იყო:



სეველან ასლანიანი: „მოელი ცხოვრება ვემოხილი უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში, პროფესორის ლინგვისტი ვარ. საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო სფეროში არ იყო მიღებული საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობა, თუშტა ყველანი ცოტათი დისიდენტები ვიყავით.

სუბეატიის მოვლების შემდეგ ერევანში გამოჩნდა ძალიან ბევრი ლტოლვილი. ბავშვანი ქალები ისხდნენ ქალაქის სკვრებში... ნახევრად შიშველი, შშიერი, დამინებული ადამიანები, წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაში... მამინვე განდა სურვილი მათ დავხმარებოდი, თუშტა არ ვიცოდი როგორ. მიგვიჩნდა საკვები, ტანსაცმელი, ლტოლვილებს ინტეგრაცია რომ გაადვილებოდათ შეგქმნით სომხური ენის კურსები. გაგაკეთეთ ბევრი პროგრამა. ისინი ჩამოვიდნენ აზერბაიჯანიდან, რომელიც უფრო მეტად საბჭოთა ქვეყანა იყო. საჭირო იყო ყველაფრის ახსნა, სომხეთის შესახებ ინფორმირება.

საბჭოთა მეცნიერებმა მამინ არც კი ვიცოდი რომ ფაქტობრივად შეგქმნით პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია. ლტოლვილების თემზე ბევრი წარმატებული პროგრამა გაგაკეთეთ. დავიწვეთ საზოგადოებრივი, სამოქალაქო მოძრაობა. ამერიკული ფონდის დახმარებით ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა. არასამთავრობო ორგანიზაციების პირველი ვგუგუებთ სომხეთში იყნენ ენოზისასტები, საქმეზე შეგვარებულები, მოხალისეები. ეს სულისკეთება გადამდები იყო.

დავიწყეთ აქტივობები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის. პროფესიით მე ვარ მეკლავარი და ვცდილობ, ნებისმიერი პრობლემის შესწავლას. შემთხვევით შეგხვდი ასალგაზრდა გოგონებს, რომლებიც ისხდნენ პენსიონერებთან და შვესუპხართი და სხვებზე და-კვირვებით ვართობა წარმოადგენდა მათ ყოფას. ზოგი სკოლაში ვერ მიდიოდა გაცემული ტანსაცმლის გამო, ზოგმა დაამთავრა და ვერაფრით დაკავდა... მათთვის ერთადერთი „გამოსავალი“ არის გათხოვება. ადამიანების ეს კატეგორია არ არსებობს საზოგადოებისათვის. მათ არასოდეს უშუშვავიათ, სამინისტრო, სახელისუფლებლებო უწყებები მათ განვითარებაზე ვერ ზრუნავს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი გაგაკეთეთ საკმაოდ წარმატებული პროექტი „გოგონები და ლიდერობა“.

- გოგონების მაგალითის ფონზე ალბათ, სომხეთში რთულია ქალისათვის კარიერის შექმნა?

- სოციალისტური სისტემის დიდ უბრატესობად შეიძლება ჩაითვალოს უფასო განათლება. თუშტა იყო ტაბუ, შეზღუდვა, მაგრამ შეიძლება ასე თუ ისე საკუთარი შესაძლებლობის რეალიზება. დღეს გახსნილია საზღვრები და თვალსაწიერიც. შეიცვალა ცხოვრების სტანდარტი, ღირებულებები, ხელისუფლების მინარსიც და ხარისხიც. სამწუხაროდ, უფინანსობა ბევრ დაბრკოლებას ქნის.

თუ ქალის პოლიტიკაში მოხვალაზე საუბარი, ზოგადად, კვლავიების წინააღმდეგი ვარ. თავად კვოტა მიმჩნია დისკრიმინაციად. ამ გზით შეიძლება პარლამენტში მოხვდეს ქალი მხოლოდ სქესის წყალობით და არ ჰქონდეს პარლამენტარის საქმიანობის შესაბამისი უნარი. ჩვენს პარლამენტში ქალბატონები წარმოადგენენ მხოლოდ თავიანთ პარტას და არ აქვთ სხვა, საერთო პრობლემურ საკითხებზე აქტიური პოზიცია, შესაძლებელია ეს თანდათანობით განდღეს.

ვეფქობ, რომ ამ ეტაპზე კვლავიება დასაშვებია, როგორც ვარდამავალი ეტაპი. საზოგადოება უნდა მიეჩვიოს არჩვენებში ქალისათვის ხმის მიცემას, მხარდაჭერას და მისი როლის პოლიტიკაში დანახვას. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში ნახავთ გაუნათლებელ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ბიზნესის გამოცდილება და უნარი, რასაც მართო უნივერსიტეტში სწავლა ვერ უზრუნველყოფს. ელიტა, რომელსაც არ სურს ხელისუფლების დატოვება, ერთხელ მივიდა და მართავს დღემდე. არჩვენები უშედეგოა, იგივე ხალხი რჩება. უფრო სწორად იტოვებს თავს. მიმჩნია, რომ ჩვენი მრავალსაკუნიოანი ისტორია, ხალხი, ამას არ იმსახურებს. იღვამი, არჩვენები უნდა იყოს ქვეყნის წინსვლის გარანტი ახალი, პროგრესული ადამიანების მოხელთი ხელისუფლებაში. ხელისუფლება უნდა ქნდეს მოქალაქეთა რეალიზებულობის, განვითარების მექანიზმებს. ჩვენი ქვეყანა წლების მანძილზე ვითარდებოდა რუსეთთან ერთად. ახლაც ვაქვს საერთო პრობლემები - ვანდაციის სისტემაში, ეკოლოგიური საშიშროება, მექრთამეობა, კორუფცია აქმდეც იყო და არის. კრიტიკა ადვილია, ჩვენ უნდა მოვებნით გამოსავალი. პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონები, რომლებიც ემსახურება საზოგადოების, ქვეყნის წინსვლას.

პარლამენტში უმცირესობა ოპოზიციის მუშაობა უშედეგოა, იგი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებებზე გავლენას.

- ოჯახში ძალადობის თემს არის აქტიური? არსებობს შესაბამისი კანონი?

- ზუსტად ვერ გეტყვით კანონის თაობაზე. ძალადობა ან არის ან არა. და თუ ვსაუბრობთ ამხე, ეს არ ნიშნავს, რომ ვართ სომხური ოჯახების წინააღმდეგი, პრობლემა უნდა დანახო და იზრუნო მის მოგვარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება სტეგნაცია. ამ თემზე მუშაობენ არასამთავრობოები. საუბრობენ ისინიც, ვინც ადრე დღემდა. არის კრიზისული ცენტრები. ჩვენს პატრიარქალურ საზოგადოებაში აქტიუალურია საკითხი, იქნენ ქალს შეუძლია ოჯახში დაბრუნება? მას უნდა

შეეძლოს ეს. ოჯახი ვერ უცებს ქალს. არ უჭერს მხარს მის ბრძოლას უფლებებისათვის. ბევრი ქალი ძალავს თავის პრობლემას. საქართველოში ამ მხრივ უკეთესობაა.

- ასეთი პროფილის ორგანიზაციებს მხარს უჭერს მამაკაცი?

- ჩვენ განვითარდით ეს თემები „მრავალი მაგიდასთან“, სადაც მოწვეული ვგვყავდა განათლებული ადამიანები. მიგვიჩნდა, რომ ამ კატეგორიის ხალხისათვის მიუღებელია ძალადობა ქალზე. ადომჩნდა, ვცდებოდით. საჭიროა სპეციალისტების ჩართვა და მუშაობა, კვლევები.

- არჩვენების თავისუფლება ხელისუფლების წინააღმდეგ უკავშირდება დემოკრატიის ხარისხს. არის მდლის, გამოხატვის თავისუფლება?

- დამუშეულია ხელისუფლების კრიტიკა ცალკეული პირებისაგან, რაც იბეჭდება გაზეთებში, შეუძლება მდლით. უკონტროლისტებიც ძალიან გაბედულები არიან. ძალიან ბევრია სამთავრობო სატელევიზიო არხი. ზოგი მათგანი მთავრობის კუთვნილებაა, ზოგიც - მხარდაჭერი. ხდება არჩვენების პერიოდში სარეკლამო დროით მთავრობის სასარგებლოდ მანიპულირება.

- ურეგნის ცენტრიდან ჩანს მდლარი, ხალხისანი სომხეთი. რა ხდება ქვეყანაში?

- არის სიღარიბე, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკაში არ აისახება. უშუშვერობის დიდი პროცენტია, დაბალი ბენსიები. ეს არ ჩანს კომფორტულ კავებასა და ფეშენებლურ რესტორნებში, სუპერმარკეტებში. თავად სუპერმარკეტებიც არის სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი, რადგან მან ჩაყლაბა პატარა მაღაზიები, სადაც უფრო სითავე იყო. სხვა ქვეყნებში ბევრი ფიქრობს, რომ სომხებს წარმატებული ბიზნესის კეთება გენეტკაში ვაქვს. ქვეყანაში არ არის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი პირობები. არ არის საჭირო შეწყობების დარიგება, საჭიროა მეწარმეობის განვითარების წახალისება. პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი პრობლემაა, რომ საშუალო ფენა არ არსებობს მდიდრებსა და დარბებს შორის. საზოგადოების განვითარება კი სწორედ ამ ფენას ვყრდნობა.

მხოლოდ მდიდრების და დარბების არსებობა საშუალო საუკუნეებში ვგვარუნებს. ყველა ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება იმუშაოს თავისი ოჯახისათვის. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ამას ახერხებენ იმ ქვეყნებში, სადაც არის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. ინდოეთში სომხს ვაჭრებს მიუღი ფლოტი ჰყავდათ და ინგლისთან ვაჭრობდნენ, კონკურენციის უწყვედნენ ინგლისელებს. სომხური დასახორა წარმატებულად საქმიანობს სხვადასხვა ქვეყანაში. ცუდი ქვეყნები და ხალხი არ არსებობს, არსებობს ცუდი პირობები. ხალხი ცხოვრობს, მეზობლობს კონფლიქტების გარეშე, კონფლიქტებს ქნან პოლიტიკოსები.

საქართველო ძალიან მიყვარს. ჩვენი ვართ უმჯელონი ერები. ბევრი ვაქვს საერთო. ვართ ევროპის ნაწილი. უკეთესი მერმისის შექმნა თითოეული მოქალაქის აქტიურობით უნდა ვეცადოთ.

ლია კილაძე

როგორ ნაპირს მიადგება პარაველა, ანუ რაზე ოცნებობენ სამრეწლო სკოლის „მეზღვეუბები“?



ალიონი. გასულ პარასკევს საქართველოს საპატრიარქოს გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის სამრეწლო სკოლაში პედაგოგ ხათუნა გულბიანის სადამრიგებლო მე-4 კლასის გამოსაშვები საღამო გაიმართა.

ორიოდ სიტყვით სამრეწლო სკოლის წარმატებების შესახებ: წელს გამოსაშვებ გამოცდებზე აღნიშნულ სკოლაში არც ერთი მოსწავლე არ ჩაჭრილა, რაც საუკეთესო შედეგია რეგიონში.

სამრეწლო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **საბა სირაძემ** წარმატებით განვლო სამოქალაქო ოლიმპიადის 2 ტური და რესპუბლიკურ დასკვნით ტურში პირველი ადგილი დაიკავა. საბა სირაძე ერთიან სტაჟირებას ინგლისში, კემბრიჯის უნივერსიტეტში გაივლის. საბამ გამოსაშვები გამოცდებზეც მაღალი შედეგი აჩვენა. ქართულ ენასა და ლიტერატურაში 10-იანი შეფასება დაიმსახურა, ხოლო დანარჩენ საგნებშიც მაღალი შედეგი აჩვენა.

რაც შეეხება მე-4 კლასს, წელს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მათ ვაჟაფშაველას ნაწარმოებების მიხედვით „ბულბულის თებილე“ წარმოადგინეს. ამის შემდეგ, აღნიშნული დადგმა, როგორც წარმატებული სექტაკლი, გორში აჩვენეს.

პედაგოგებმა და მოსწავლეებმა საღამოს საინტერესო სცენარი „მომავლის გზებზე“ შესთავაზეს დამსწრე საზოგადოებას.

ამ კლასის ყველა მოსწავლე

მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული და საუკეთესოდ მდეროდნენ და ქორეოგრაფიულ ნომრებსაც ასრულებდნენ.

მათი ოცნების კარაველამ დიდი გზა გაიარა სკოლაში მისვლის პირველი დღიდან, ვიდრე ამერიკის კონტინენტს მიადწევდნენდა გურულ ჩაუქ ცხენოსნებად მოგვეკვლინებოდნენ. „ზღვაში“ მეკობრე ვეკის ხომალდსაც შეხვდნენ და ინგლისური სკეჩიც წარმოადგინეს.

ბევრი კარგი ნომერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც გამოვეყოფდით გუგა კანდელაკისა და ლუკა მურადაშვილის მიერ შესრულებულ „ო, სოლე მია“.

ჯერ წინ დიდი გზა აქვთ გასავლელი, მაგრამ უკვე იციან, რომ: „შორს რომ არ წახვიდე, არ გავცდე ბასიანს, ღმერთი მყავს ვვარცმული და მზეზე ნათელი,

სულაც არ მადარდებს ვეროპაც, აზიაც..

მე ისიც მეყოფა, რომ მქვია ქართველი“...

შემოდგომაზე მე-5 კლასის კარს შეაღებენ: **ლიზი ნაკურაძე, ელენე ბალიშვილი, ერეკლე გორდელაძე, ლიზა ერადე, საბა ვასაძე, გუგა კანდელაკი, მარიამ კეკელიძე, დავით კვაჭანტირაძე, ანა მაღლაფერიძე, ლუკა მურადაშვილი, ილია ნაკაძე, თამარ სირაძე, ანი სინარულიძე, ზვიად ფასიევილი, სერგი ქვილიორია, გიორგი ქუტიძე, გიორგი ჩხარტიშვილი, ელენე ხინთიბიძე, ნოდარ ცინცაძე.**



მზი, ღრუბელი +13+22 12 ივნისი ორშაბათი	მზი, ღრუბელი +16+24 13 ივნისი სამშაბათი	ღრუბელი +16+22 14 ივნისი ოთხშაბათი	წვიმა +12+22 15 ივნისი ხუთშაბათი	მზი, ღრუბელი +13+18 16 ივნისი პარასკევი	ღრუბელი +12+15 17 ივნისი შაბათი	მზი +15+21 18 ივნისი კვირა
---	--	---	---	--	--	---

7 დღის ამინდის პროგნოზი

ანსამბლი „იალონი“ 45 წლისაა



სმები გურამი ჭელიძე, გიორგი ჭანუყვაძე, კარლო ხომერიკი, ვალტერ სარიშვილი და თამაზ თავლეშაძე.

1972 წლის სსრკ კულტურის სამინისტროს გრამფირფიტების სააგრო კომისიამ „მელიდიამ“, სკოლის მსმენელების შესრულებით გრამფირფიტაზე ჩაწერა და სერიულად გაყიდვაში გამოუშვა 15 გურული ხალხური სიმღერა. ანსამბლის შექმნისთანავე სულხან-ბატონიშვილი ანსამბლი გააერთიანა მოცეკვავებით; ქორეოგრაფის მოვალეობით მას მისი ძეგლები, თამარ ფარცხვაძე ეხმარებოდა. ამის შემდეგ სიმღერების უძრავი სახეები სრულდებოდა ცეკვისთან ერთად. ანსამბლი კონცერტებს მართავდა სხვადასხვა სოფელსა თუ რაიონში, ხშირად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ანსამბლი ყოველწლიურად მონაწილეობდა ფესტივალ „გურიის ვახუშტის“ რამდენიმე პირველად ჩატარდა 1977 წელს. ასევე ყოველწლიურად მონაწილეობდა თბილისის ცხელა დღესასწაულებში.

